**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

**სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი  ცირა ბარამიძე

**პროგრამის დახასიათება:**
**მიზანი:**
პროგრამა სუბდისციპლინარულია და მოიცავს ენათმეცნიერების ერთი კონკრეტული დისციპლინის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფარგლებში შემავალ დიდ პრობლემურ სფეროს: აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევას როგორც სინქრონული, ისე დიაქრონული თვალსაზრისით, აგრეთვე აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა კვლევას ქართველურ ენა-კილოებთან გენეტიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. ეს პრობლემები აქტუალურია ლინგვისტური კავკასიოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით.
პროგრამა განკუთვნილია თსუ და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, დამტკიცებული ჰქონდათ სადისერტაციო თემები და შეასრულეს გეგმით გათვალისწინებულ კვლევით სამუშაოთა დიდი ნაწილი, მაგრამ განათლების სისტემის რეფორმამდე ვერ მოასწრეს დისერტაციის დაცვა. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ ასპირანტებსა და მაძიებლებს დაწყებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დასრულებასა და აკადემიური ხარისხის მოპოვებაში.
პროგრამა მოიცავს იბერიულ-კავვკასიური ენათმეცნიერების სხვადასხვა სფეროს: აფხაზურ-ადიღურ, ნახურ-დაღესტნურ და ქართველურ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკის აღწერით და ისტორიულ-შედარებით კვლევას.

**სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები** - პროგრამა გათვალისწინებულია თსუ და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინასტიტუტის ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული ყველა საგანი და დამტკიცებული აქვთ სადისერტაციო თემა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიმართულებით.
კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

**განსაკუთრებული პირობები** - დოქტორანტების მიერ საექსპერტიზოდ წარდგენილი სტატიების უარყოფითად შეფასების შემთხვევაში:

1. თუ შეფასება არ აღემატება 10 ქულას, მაძიებელი ამოირიცხება დოქტორანტთა სიიდან. ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს, თავიდან ჩააბაროს დოქტორანტურაში და გაიაროს სადოქტორო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები;
2. თუ სტატიები შეფასდა უარყოფითად, მაგრამ მიიღო 11-დან 15 ქულამდე, დოქტორანტს უფლება ეძლევა, ერთი წლის განმავლობაში გადაამუშაოს სტატია ან წარმოადგინოს ახალი სტატია საექსპერტიზოდ.

**დოქტორანტის დასაქმების სფეროები:**

- ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამეცნიერო პროექტში;
- ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შესაბამისი ტიპის ადგილობრივი სამხარეო და ადგილობრივ დეპარტამენტებში;
- საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო ბიბლიოთკებში;
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში მთარგმნელად და სტილისტად
- მასმედიის ყველა მიმართულებით, ექსპერტად და კონსულტანტად;

სამთავრობო და კერძო სტრუქტურების მეცნიერ-ექსპერტად;

**სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა -** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტს აქვს სათანადო მატერიალური ბაზა ყოფილი კავკასიურ ენათა კათედრისა არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმის ბიბლიოთეკების სახით.

**დოქტორანტთა რაოდენობა -** პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს 8 ყოფილი ასპირანტი და მაძიებელი.